სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 სექტემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-02/180

ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 46-ე და 48-ე მუხლების, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების,** ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე" **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N112/ნ ბრძანების,** ბსუ-ს წესდების მე–13, 66-70-ე მუხლების, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების,** ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილების** საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთან გასაფორმებელი **ხელშეკრულების** თანდართული ფორმა (**დანართი 1**).
2. ბსუ-ს **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით და ბსუ-ს მხრიდან ხელმოწერილი იქნეს რექტორის მიერ (დამოწმდეს რექტორის ფაქსიმილიით).
3. ბსუ-ს **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები აღირიცხოს (დაინომროს და გატარდეს ჟურნალში) ბსუ-ს რექტორის 2019 წლის N01-02/137 ბრძანებით დადგენილი წესის ანალოგიურად, პროგრამის დასახელების, ფაკულტეტის, კალენდარული წლის და რიგითი ნომრის მიხედვით სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით (მარჯვნიდან მარცხნივ), კერძოდ: ა) სარეგისტრაციო ნომრის ბოლო სიმბოლოდ მიეთითოს პროგრამის შემოკლებული დასახელება - ,,მმ"და გამოიყოს დახრილი ხაზით;

ბ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს შესაბამისი ფაკულტეტისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მინიჭებული ორნიშნა კოდი, ხოლო შემდეგ - კალენდარული წლის ბოლო ორი ციფრი და დეფისი;

გ) დეფისის შემდეგ მიეთითოს გაფორმებული ხელშეკრულების რიგითი ნომერი და გამოიყოს დახრილი ხაზით;

დ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურით შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისათვის განსაზღვრული სარეგისტრაციო ნომერი.

4. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის N01-08/124 ბრძანება.**
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N01-02/180 ბრძანების

დანართი 1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____" 20_ წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ---------- მიერ და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _____ __(შემდგომში ,,სტუდენტი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტსა და ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტიანი) სტუდენტს შორის ურთიერთობის რეგულაცია, საქართველოს კანონმდებლობის, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული** ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ და ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის“, ასევე ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

1.2. ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და შინაგანაწესი (სტუდენტის ნაწილში) განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. **სტუდენტის უფლებებია:**

ა) მიიღოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება;

ბ) სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გაასაჩივროს მიღებული შეფასების შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილ ვადაში;

დ) მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებაში, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში;

ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, ბსუ-ს წესდებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით დაწესებული სტუდენტის უფლებებით.

2.2. **სტუდენტი ვალდებულია:**

ა) შეასრულოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო კურსები) და შეასრულოს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული აკადემიური აქტივობა;

ბ) გადაიხადოს პროგრამაზე სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია), ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად (თუკი არ აქვს მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსება);

გ) სისტემატიურად ისარგებლოს ,,სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით“/,,სტუდენტური პორტალით“, რომლის საშუალებით მას მიეწოდება

უნივერსიტეტის შეტყობინებები/ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება) ისარგებლოს სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც აისახება ბსუ-ს ვებგვერდზე **„სტუდენტის გზამკვლევში"** (რეგულაციები), განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge.) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი";

ვ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკისა და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალურ-ტექნიკური ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა; დროულად დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები და დაიცვას „ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის" მოთხოვნები;

ზ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ეთიკის კოდექსის, „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის" და უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნები.

2.3. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სტუდენტი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებით;

ბ) უზრუნველყოს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობა;

გ) სტუდენტის ცოდნა შეაფასოს სამართლიანად და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების რეალიზაცია;

დ) უზრუნველყოს სტუდენტი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;

ე) არ დაუშვას სტუდენტის დისკრიმინაცია, ასევე უზრუნველყოს სტუდენტის პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, ასევე ბსუ-ს წესდებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და სხვა სამართლებრივი აქტებით დაწესებული სტუდენტის უფლებებით სარგებლობას.

2.4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განსაზღვროს სასწავლო წლის კალენდარი, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განსაზღვროს ეთიკის ნორმები, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის განხორციელების რეგულაცია, სტუდენტის სტატუსის შესახებ სამართლებრივი აქტების გამოცემის წესი და ვადები;

გ) მოსთხოვოს სტუდენტს გადაიხადოს სწავლის საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) სწავლის წლიური საფასური შეადგენს **2250 ლარს.**

3.2. სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს სემესტრულად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„სწავლის საფასურის გადახდის წესის"** შესაბამისად (შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ბსუ-ს პროგრამის დასახელება);

3.3. სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღი (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი, განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში „სწავლა").

3.4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთაგან ბსუ-სათვის გათვალისწინებული ადგილების ფარგლებში დასაფინანსებელ პირებს (სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიმღებ პირებს) შეარჩევს უნივერსიტეტი.

3.5. პირის მიერ ერთდროულად მასწავლებლის მომზადების რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, მასზე გაიცემა მხოლოდ ერთი სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სტუდენტის სტატუსი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- სასწავლო წლიდან და მოქმედებს ბსუ-ს სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე პერიოდში;

4.2. სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან, სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

4.3. უნივერსიტეტის **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ერთი და იგივე სასწავლო კურსში სამჯერ „ჩაჭრა" - F შეფასების მიღება;

ე) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) გარდაცვალება.

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერისტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

4.4. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლის შემთხვევაში პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

4.5. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული უფლება-მოვალეობებისგან, თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს სტატუსის შეჩერებამდე წარმოშობილი ვალდებულების შესრულებისგან.

4.6. **სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:**

ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);

ე) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

4.7. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, სასწავლო პროცესში დაბრუნების და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად შემუშავებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით".

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

5.1. სტუდენტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს წერილობით თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის ,,საქმისწარმოების ინსტრუქციის" და ,,სტუდენტთა ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესის" მოთხოვნათა დაცვით, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან და სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე (სტუდენტურ პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).

5.2. სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ,,სტუდენტთა გზამკვლევში" (თავი ,,სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება").

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს ხელშეკრულება, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა ან/და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტით.

6.2. მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუკი მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

6.4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

,,უნივერსიტეტი"	,,სტუდენტი"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _____
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	პირადი № _____
	ფაქტობრ. მისამთ._____

(რექტორის სახელი, გვარი)	რეგისტრ.მისამ. ----------

	ტელეფონი _____
----------	ელ. ფოსტა_____

(რექტორის ხელმოწერა)	_____
	(სტუდენტის ხელმოწერა)